

ქართული ეკონომიკური მეცნიერების სამსახურში

არიან ადამიანები, რომლებიც უხმოდ ცხოვრობენ, იღწვიან და შრომობენ კოლოსალურად ბევრს ეწვეიან ქველმოქმედებას, მაგრამ თავის გამოჩენა არ უყვართ, პირიქით, ზედმეტ ქებასა და საკუთარი თავის წარმატების შესახებ საუბარს გაურბიან. არადა უსაზღვროდ მნიშვნელოვანია მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც შერწყმულია მაღალზნეობრივ თვისებებთან: სიკეთესთან, უანგარო სიყვარულთან, ამაგის დაფასებასთან, სამშობლოს ტკივილის გათავისებასთან. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიუკუთვნება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოში პირველი ინგლისური კერძო სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი, ქალბატონი **ლამარა ქოქიაური**, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მარცვალ-მარცვალ აგროვებს, ქმნის და არიგებს ყველაფერს საუკეთესოს, რაც უფალს მისთვის დაუნათლავს. ალბათ, გენებითაც გამოიყვება მას ხასიათის სიმტკიცე, მიზანსწრაფულობა, გონიერება, კეთილშობილება, სულგრძელობა და სათნოება.

პროფესორი **ლამარა ქოქიაური** რამდენი ათეული წელია თანმიმდევრულად იკვლევს XX და XXI საუკუნეების ყველაზე პოპულარულ და ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პრობლემას – ინვესტიციებს. ჯერ კიდევ 2007 წელს გამოცემულ შრომაში „ინვესტიციების თეორიული გენეზისი“ ქალბატონი **ლამარა ქოქიაური** წერს: „დიდი სურვილი მაქვს, წარმოვადგინო მრავალპლანიანი ნაშრომები ინვესტიციებისა და ინვესტირების შესახებ. მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების ციკლში ჩემი მიზანია გამოვეყოს საყურადღებო სახის, მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდოლოგიური ნოვაციები, რაც განსაკუთრებით სასარგებლო და საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის – საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებიდან დაწყებული – პროფესიონალური ბიზნესმენებით დამთავრებული. კადნიერებაში არ ჩამეთვლება ალბათ, თუ ვიტყვი, რომ ჩემი შრომები დაეხმარება მკითხველს ღრმად გაერკვეს ინვესტიციების რთული სამყაროს ლაბირინთებში, რომელსაც უკვე თითქმის სამი ათეული ვიკვლევ.“

საინვესტიციო საქმიანობის და მასთან

დაკავშირებული პრობლემების შესახებ პროფესორ **ლამარა ქოქიაური**ს უკვე გამოცემული აქვს ნაშრომთა ციკლი:

ინვესტიციური საქმიანობის პრობლემებს საქართველოს ეკონომიკური რეფორმის სისტემაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უკავია.

საქართველოში ამ ბოლო წლებში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ ნეგატიური გავლენა მოახდინა ინვესტიციურ დაგროვებაზე, ინვესტიციურ კლიმატზე. ამ უკანასკნელმა დაასუსტა ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები და დაამუხრუჭა სტრუქტურული გარდაქმნების პრობლემების გადაჭრას.

ავტორს საინვესტიციო საქმიანობის გამოცოცხლება საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის უმთავრეს შესაძლო გზად მიაჩნია. იგი გადაუდებელ ამოცანად თვლის ოპტიმალური ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებას და შესაბამისად, მყარი თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის ჩამოყალიბებას.

თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში შესაშური კვლევისა და საყურადღებო შრომების ბუმის პირობებში საქართველოში ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა ინვესტიციურ სფეროში. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე საყურადღებო სამეცნიერო სტატიას, ინვესტიციებზე არ მოგვეპოვებოდა არც ერთი კაპიტალური ხასიათის ნაშრომი. მაშინ როცა უცხოეთსა და განსაკუთრებით ყოფილ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ინტენსიურად მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესორების ლორენს გიტმანის ენციკლოპედიური ნაშრომი „ინვესტირების საფუძვლები“, უილიამ შარპის გახმაურებული მონოგრაფია „ინვესტიციები“, ვ. მილოვიდოვის „წილობრივი ინვესტიციური ფონდები“, ნ. ილინის „პროექტების მართვა“ და სხვათა ნაშრომები.

ქალბატონ **ლამარა ქოქიაურის** ნაშრომი საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის ძირითად პრობლემებზე (1997 წ.) პირველი კომპლექსური სამეცნიერო მონოგრაფიული გამოკვლევაა, სადაც განხილულია თანამედროვე ეტაპებზე საინვესტიციო საქმიანობის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ინვესტიციის

ბაზარი და მისი ფორმირების ძირითადი მიმართულებები საქართველოში; გაანალიზებულია ინვესტიციის სოციალ-ეკონომიკური ასპექტები, მოცემულია ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნის ძირითადი გზები. შრომაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საინვესტიციო საქმიანობის შეფასების ძირითად მაჩვენებლებს და მათი გამოყენების მეთოდებს. ნაშრომი განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, მეცნიერ ეკონომისტების, საფინანსო და საბანკო დაწესებულებათა მუშაკების, ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისა და ბიზნესმენტათვის.

„ინვესტიციების ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა“ (2002), ტრანსფორმაციული ეკონომიკის პირობებში საქართველოში ინვესტიციის ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებებისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა. მასში განხილულია როგორც ინვესტიციის ბაზრის ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, ისე საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსებისა და საინვესტიციო პოტენციალის განვითარების, ინვესტიციის ბაზრის ფორმირებაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის, ბანკების საინვესტიციო საქმიანობის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და ეფექტიანი გამოყენების, ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნის, საინვესტიციო პროექტების დაფინანსების სისტემისა და კომერციული შეფასების საკითხები. ნაშრომში სისტემური სახით არის განხილული ეროვნული ინვესტიციის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხთა ფართო წრე, ჩამოყალიბებულია სიახლის შემცველი თეორიული დასკვნები, პრაქტიკული წინადადებები და რეკომენდაციები, კერძოდ მოცემულია ინვესტიციის თეორიული გენეზისი, მისი მაკრო და მიკრო-ეკონომიკური ასპექტები, რის საფუძველზეც შემუშავებულია ინვესტიციების სისტემური ანალიზის კონცეფცია;

– გაშუქებულია ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი – ინვესტიციის ბაზრის არსი, სტრუქტურა და სახეები, დასაბუთებულია საქართველოში მისი განვითარების აუცილებლობა;

– გაანალიზებულია ინვესტიციის ბაზრის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯები საქართველოს ტრანსფორმაციულ ეკონომიკაში, განხილულია მისი ფუნქციონირების ობიექტური პირობები;

– ინვესტიციური ბაზრის ფინანსურ და მატერიალურ აქტივებთან ერთად პირველად ეკონომიკურ ლიტერატურაში (ასეთი ინტერპრეტაციით) განხილულია ინტელექტუალური აქტივები, დასაბუთებულია ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების გადაუდებელი განხორციელების აუცილებლობა საქართველოში.

– შესწავლილია ინვესტიციის ბაზრის მართვა-განვითარების კეინზიანური და მონეტარისტული მიდგომები, გაშუქებულია ინვესტიციის ბაზრის კონცეფციები და მოდელები;

– გამოკვლეულია საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე ინვესტიციური კრიზისის სიღრმე, მისი წარმოშობის მიზეზები და თავისებურებები;

– ინვესტიციის ბაზრის ფორმირებისა და დაგროვილი ინვესტიციური პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების მიზნით, განზოგადებული და საქართველოს პირობებისათვის შემუშავებულია ინვესტიციური საქმიანობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა; ჩამოყალიბებულია ინვესტიციური პროექტების ფინანსური და კომერციული სრულყოფის წინადადებები;

– ინვესტიციური პროექტების რეალიზაციის რისკების მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადოების საფუძველზე მოცემულია ინვესტიციური პროექტების რისკების კრებისითი კლასიფიკაცია;

– ინვესტიციური საქმიანობის ინდიკატორების განხილვის საფუძველზე ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები საქართველოში საინვესტიციო პოტენციალის განახლებისა და განვითარებისათვის;

– კომპლექსურადაა შესწავლილი ინვესტიციის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების მოდელები და დასაბუთებულია საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისათვის მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობა;

– ინვესტიციური გარემოს კომპლექსურად შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, შემუშავებულია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის მაკროეკონომიკური საკითხები;

– გაანალიზებულია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციური მხარდაჭერის არსებული მდგომარეობა და დასახულია მისი გაუმჯობესების გზები;

– გაშუქებულია კერძო საინვესტიციო დაფინანსების ამოცანები და განსაზღვრულია სახელმწიფოს როლი ამ ამოცანათა გადასაჭრელად ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებაში;

– მოწინავე უცხოური გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ახსნილია ბანკების როლი ინვესტიციის ბაზრის ფორმირებაში, გაანალიზებულია საქართველოში საბანკო ინფრასტრუქტურის თანამედროვე მდგომარეობა და დასაბუთებულია კომერციული ბანკების ინვესტიციური საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებები;

– წარმოჩენილია უცხოური ინვესტიციების როლი ეროვნული ინვესტიციის ბაზრის ფორმირება-განვითარებაში, ჩამოყალიბებულია ავტორისეული ხედვა და პრაქტიკული წინადადებები ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებისათვის;

– შემუშავებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეგიონული სტრატეგია;

– პირველად ქართული ფინანსური მეცნიერების პრაქტიკაში შედგენილია ავტორისეული გრძელვადიანი ინვესტიციების კლასიფიკაციის სქემა;

– განხილულია საქართველოში ინვესტიციური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, გაკეთებულია სათანადო დასკვნები და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები საინვესტიციო პოტენციალის განახლებისა და განვითარებისათვის.

ნაშრომში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების გათვალისწინება საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში დაახქარებს ინვესტიციური პრობლემების დაძლევა, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციას, რაც საბოლოო ანგაშით, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში აისახება.

ინვესტიციების თეორიული გენეზისი (2007). განხილულია ინვესტიციური სფეროს ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, დასაბუთებულია ინვესტიციური სეგმენტი, როგორც ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი – ინვესტიცია, კრედიტთან ერთად, წარმოდგენილია ფინანსების წარმონაქმნად, მის მოდიფიკაციად. მოცემულია ინვესტიციების თანამედროვე კონცეფციები და ინვესტიციური განვითარების მოდელები, მისი მაკრო- და მიკროეკონომიკური ასპექტები; ცალკეა წარმოდგენილი საბაზრო ეკონომიკაში საწარმოს ინვესტიციური ქცევის მოდელი. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საინვესტიციო პროცესში ინვესტიციების მოძრაობასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ნაშრომში ფართოდაა გაშუქებული ფინანსური, რეალური და ინტელექტუალური საინვესტიციო რესურსები, საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

ნაშრომში მკაფიოდ ასახულია ის უდიდესი ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში და XXI საუკუნის დასაწყისში ინვესტიციურ ბიზნესში. წიგნის სტრუქტურა შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული ბაკალავრებისა და მაგისტრების მომზადების საერთაშორისო და მეთოდოკას. წიგნი ილუსტრირებულია სქემებით, გრაფიკებით, ცხრილებით. ყოველ თავს დართული აქვს, აუცილებელი ტერმინები, რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე, კითხვები და დავალებები საკითხების უკეთ გაგების მიზნით და რეკომენდებული ლიტერატურა.

„ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ (2008). ნაშრომი მთლიანად ეძღვნება თანამედროვე ეკონომიკის მეტად აქტუალურ და ამავე დროს პრობლემატურ სეგმენტს – ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოქმნის, ფუნქციონირების, ანალიზის, მართვისა და განვითარების ფართო სპექტრს. ნაშრომის მიზანია – გააცნოს მკითხველს ფასიანი ქაღალდების ირგვლივ მიმდინარე დისკუსიები, შეუქმნას მათ სრული წარმოდგენა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნდამენტური და ტექნიკური ანალიზის შესახებ. ამასთან, იგი საშუალებას იძლევა გაცნობიერებული იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსი, სტრუქტურა, მონაწილენი, მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, განხილულია ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური შინაარსი, მათი სახეები, ფასწარმოქმნის მექანიზმი ფასიანი ქაღალდის ბაზარზე, ნაშრომში მოცემულია ფასიანი ქაღალდების საკითხების ანალიზი. ნაშრომში მკითხველი ფასიანი ქაღალდების ტექნიკური ანალიზის ამოსავალ დებულებებთან ერთად გაეცნობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის გრაფიკულ ანალიზს; პირველად ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემულია ფასიანი ქაღალდების ტექნიკური ანალიზის ტრენდული სახის ტიპური ფიგურების ძირითადი გრაფიკული მოდელები, ტექნიკური ანალიზის ინტერუმენტებს. ნაშრომი საერთოდ იძლევა აუცილებელი თეორიული ცოდნის ოპტიმალურ მინიმუმს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტების შესახებ და ა.შ..

ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე. ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (2009), მიზანია ფინანსისტების, ინვესტორების და ბანკირების უკვე ტრადიციული, მყარად დამკვიდრებული და პროფესიული ტერმინების, უნიფიცირებული სხვადასხვა განმარტებების, ახალი, საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ცნებების მოძიება, დაჯგუფება, თარგმნა ინგლისურ და

რუსულ ენებზე და ქართულ მკითხველამდე მიტანა.

ნაშრომში სინთეზირება აქვს გაკეთებული დასავლეთის თვალსაჩინო ავტორების ამგვარი სახით წარმოდგენილ შრომებს, ოქსფორდის, ამერიკის ბანკირთა ასოციაციის, რუსეთის საფინანსო აკადემიის, ქართულ ეკონომისტ-ლექსიკოგრაფების მსგავს გამოცემებს.

წინამდებარე ენციკლოპედიურ ხასიათის ლექსიკონი ერთგვარ წვლილს შეიტანს ფინანსურ, ინვესტიციურ, საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობების სფეროებში სტანდარტული ტერმინოლოგიის შემუშავებასა და დადგენაში. **30800 სიტყვისაგან** შედგენილი აღნიშნული ტერმინოლოგიური ლექსიკონი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ფინანსისტებს, ბანკირებს, ინვესტორებს, მეწარმეებს, ეკონომიკურ სამსახურების სპეციალისტებს, მეცნიერ-ეკონომისტებს, უმაღლესი სკოლების სტუდენტებსა და მთარგმნელ-რეფერენტებს.

ლექსიკონი მკვლევარის მრავალწლიანი დაძაბული შრომის შედეგია. ავტორი აღნიშნავს რომ „ჩვენი მუშაობის ძირითადი ამოცანა იყო მეცნიერების ამ სფეროებში მოძიებული ყველა ტერმინი დაგვეჯგუფებინა და გამოგვეცა დარგობრივი ნიშნით ცალ-ცალკე ფინანსურ-საკრედიტო, საბანკო საქმე და ინვესტიციები... ნაშრომს ენციკლოპედიური განმარტებითი ხასიათი ექნება. ვისაც გამოცდილი აქვს და უმუშავია ამ სფეროში, იცის რა კოლოსალური შრომა, რუდუნება სჭირდება ამგვარი ენციკლოპედიის შექმნას და გამოცემას. უზარმაზარი შრომა გავწიეთ. მოძიებულია, სისტემატიზირებულია, თარგმნილია, შეჯერებულია, დაბეჭდილია და სტამბურ გამოცემას ელოდება მრავალი ათასი გვერდი, მაგრამ გადავწყვიტეთ არ გვექარა. ამ ეტაპზე ვარჩიეთ გამოგვეცა მხოლოდ ტერმინოლოგია-ლექსიკონი, ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე“.

„საინვესტიციო პროექტები“ (2010) – პირველად ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში შესწავლილია ინვესტიციური პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება; მათი შეფასების მეთოდები; გაკეთებულია ინვესტიციური პროექტების შეფასება გაურკვევლობისა და რისკების პირობებში; ჩამოყალიბებულია პროექტების ეფექტიანობის გათვლის და ანალიზის მეთოდები; განზოგადებულია საინვესტიციო პროექტების რისკების დადგენის და შეფასების მეთოდები და ხერხები; დიდი ადგილი აქვს დათმობილი მთლიანად ინვესტიციების და საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასების საკითხებს; შრომაში ყურადღება ექცევა

ბიზნეს-გეგმების იდეის დასაბუთების, შედეგების, დამტკიცების, კლასიფიკაციის და ა.შ. საკითხებს; განსაკუთრებული ინტერესით არის შესწავლილი ინვესტიციური პროექტების მენეჯმენტის სფერო.

ნაშრომის მიზანია: საინვესტიციო პროექტების შედგენის, დამუშავების და ანალიზის თანმიმდევრობის ჩამოყალიბება; მათი შეფასების მაჩვენებლის შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა; საინვესტიციო პროექტის პროგნოზირებადი ფულადი ნაკადების და მათი ეკვივალენტების ღირებულების გამოთვლის ტექნიკის სრულყოფა; საქართველოში მიმზიდველობის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის პოლიტიკური, საკანონმდებლო და ეკონომიკური პირობების შექმნის აუცილებლობის და შესაძლებლობის დასაბუთება და გადაჭრის მთავარი მიმართულების შემუშავება. ასევე, კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების, შენიშვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ნაშრომში მიზნებიდან გამომდინარე: მასში განხილულია და შესწავლილია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხთა ფართო წრე. მოყვანილია გარკვეულად სიახლის შემცველი თეორიული დასკვნები და პრაქტიკული წინადადებები, კერძოდ: მოცემულია საინვესტიციო პროექტის ავტორისეული განმარტება, ჩამოყალიბებულია საინვესტიციო პროექტის შედგენის და ანალიზის ჩატარების აუცილებელი ეტაპები; გაანალიზებულია საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო; მოცემულია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების რამდენიმე რეკომენდაცია-წინადადება; განხილულია საინვესტიციო პროექტის შეფასების კრიტერიუმები და მათი ურთიერთშედარების საფუძველზე გამოვლენილია თითოეულის უპირატესობა და ნაკლი; ჩატარებულია საინვესტიციო პროექტის პროგნოზირებადი ფულადი ნაკადის ანალიზი, განსაზღვრულია რელევანტური ფულადი ნაკადი; გამოვლენილია გადასახადების და ამორტიზაციის გავლენა ფულადი ნაკადების შეფასებაზე; აღნიშნულია საინვესტიციო პროექტისათვის დამახასიათებელი მმართველობითი ოფციონების შეფასების აუცილებლობა, აგრეთვე ინფლაციით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინების ხერხები; განხილულია საინვესტიციო პროექტის დაფინანსების წყაროები; მოცემულია რეკომენდაცია ვენჩურული ფონდების ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ; გაკეთებულია საინვესტიციო პროექტის ანალიზი რისკის პირობებში; აგრეთვე დასაბუთებულია ერთეულოვანი, კორპორაციული და საბაზრო რისკის პირობების აუცილებლობა.

საინვესტიციო საქმე (2010). ინვესტიციების სფეროს პრობლემის მკვლევარმა მეცნიერმა საზოგადოებას წარმოუდგინა ინვესტიციების და ინვესტირების შესახებ ერთგვარი ენციკლოპედიური ნაშრომი – „საინვესტიციო საქმე“. ავტორი თვითონაც აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოში შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი ამ სფეროში ათწლეულების მანძილზე, დიდი რუდუნებით განხორციელებული მეცნიერული კვლევის შედეგები და საინტერესო მოსაზრებები. სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს შესასწავლი პრობლემის კვლევისადმი მასშტაბური მიდგომა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ინვესტიციების საკითხის კვლევით დაინტერესებულ ყოველ სტუდენტს, ბაკალავრს, მაგისტრანტს, დოქტორანტს თუ ბიზნესის წარმომადგენელს, ამ სახელმძღვანელოს სახით ინვესტიციების ყველა მიმართულებათა ფართო სპექტრისა თუ მისთვის საჭირო ყოველ საკითხზე, მაღალ დონეზე შესრულებული, სიღრმისეული კვლევის შედეგები მოკრძალებით წარედგინება ინფორმაციის მოძიებისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი თავის მომაბეზრებელი ძიებების და კვლევების გარეშე.

წინამდებარე ნაშრომში ამ სფეროში ყველა მიმართულებით განხორციელებული კვლევა წარმოადგენს დასრულებულ ნაშრომს, რომელიც მკითხველს სრულ და ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის ინვესტიციური სფეროს საქმიანობის ამ მნიშვნელოვან საკითხებზე.

სახელმძღვანელოში თანმიმდევრულადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ინვესტიციები და საინვესტიციო საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში; რეალური ინვესტიციები; ინვესტიციური პროექტები და მათი ეფექტიანობის შეფასების ალტერნატიული მეთოდები; ფინანსური ბაზარი და ინსტიტუტები; ინვესტიციების ბაზარი, მისი ფორმირებისა და განვითარების პრობლემები; ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ტექნიკური საკითხების ღრმა ანალიზი, საინვესტიციო პორტფელის თეორია; ფინანსური სახსრების წარმოქმნისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასების პრობლემები; ინვესტიციები ინტელექტუალურ კაპიტალში; საინვესტიციო პოლიტიკა და სტრატეგია; საინვესტიციო მენეჯმენტი; უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში; კომერციული ბანკების საქმიანობა, საინვესტიციო ბიუჯეტირება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ავტორის ნაშრომი „**საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა**“ (2013), რადგან თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის დამახასიათებელი თავისებურება არა მარტო საქონლითა და მომსახურებით თავისუფალი ვაჭრობაა, არამედ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებაა. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების აქციების კოტირება, საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს; მსოფლიო ინვესტიციური ბაზრები და კაპიტალის ბაზრები მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებენ ფინანსურ-ეკონომიკურ პირობებზე; უფრო მეტიც, საერთაშორისო ინვესტიციური კაპიტალი განსაკუთრებულ როლს ასრულებს როგორც ცალკეული ქვეყნებისა, ასევე მთლიანად მსოფლიო ფინანსური რეგიონების განვითარებაში. ზემოთ აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ინვესტიციური კაპიტალის მაღალი მოცულობის მქონე ქვეყნებში „გადადინებას“, რის საფუძველზეც **ფართოვდება მსოფლიო ფინანსური და ინვესტიციის ბაზრები.**

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ფინანსურმა კაპიტალმა ფიზიკურ ინვესტიციებთან შედარებით თავისი მობილურობის მეშვეობით წამყვანი ადგილი დაიკავა, რადგანაც მას მკაცრი სავალუტო და საგადასახადო რეგულირების მქონე ქვეყნებისგან თავის არიდების მეტი საშუალება აქვს. უმეტესი ქვეყნები ესწრაფვიან მოიზიდონ და შეინარჩუნონ ასეთი კაპიტალი.

ზემოთ აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა, საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსი ინვესტირების პროცესში გადაწყვეტილებათა მიღების თეორიისა და პრაქტიკის ცოდნას მოითხოვს. საკითხთა ეს კომპლექსი ცოდნის შედარებით ახალ დარგს შეადგენს. მას ავტორი „საინვესტიციო მენეჯმენტს“ უწოდებს. საწარმოს (ფირმის, კორპორაციის) დონეზე კაპიტალის ინვესტირებასთან დაკავშირებული მმართველური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების საკითხებს საწყის ეტაპზე განიხილავდნენ საინვესტიციო მენეჯმენტის სისტემის ერთ-ერთ განკერძოებულ მიმართულებად. მენეჯმენტის სისტემაში მათ განიხილავდნენ საწარმოს განვითარებასთან დაკავშირებულ **გრძელვადიან საფინანსო გადაწყვეტილებებად.** საინვესტიციო მენეჯმენტი ცოდნის დამოუკიდებელ დარგად XX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა საპორტფელო ინვესტირების სფეროში მიმდინარე კვლევების ინტენსივობის გააქტიურებასთან დაკავშირებით. პორტფელის თეორიის ჩამოყალიბებას უკავშირდება თვით „საინვესტიციო მენეჯმენტის“ ტერმინის გამოჩენაც, რასაც თავდაპირველად უწოდებდნენ საწარმოს ფინანსური

ინვესტიციების მართვის სისტემას. მოგვიანებით საინვესტიციო მენეჯმენტმა რეალური ინვესტირების სფეროს განხილვაც მოიცვა. ამჟამად საინვესტიციო მენეჯმენტი ცოდნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დინამიკურად განვითარებადი დარგია. ბოლო ათწლეულებში მკვლევართა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ნობელის პრემია სწორედ საინვესტიციო მენეჯმენტის პრობლემების დამუშავებისთვის მიიღო.

საწარმოს ინვესტიციების მართვის მრავალი ასპექტი, რომლებიც მართვის განხილული ფუნქციური სისტემის ძირითადი ობიექტებია, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. იგი ტრანსფორმაციის პერიოდის ობიექტურ ეკონომიკურ სირთულეებს, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილებასა და რთულ ეკონომიკურ პირობებში მუშაობისთვის სპეციალისტების მომზადების არასაკმარის ღონეს აწყდება. საბაზრო რეფორმების გაგრძელება და მძიმე ეკონომიკური ტენდენციების დაძლევა შესაძლებელს გახდის თეორიული შედეგების სრულად გამოყენებას და საწარმოს ინვესტიციების მართვაში ეროვნული და საზღვარგარეთ დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას.

ზემოთაღნიშნულ ნაშრომში ავტორს სტრუქტურა კარგად აქვს წარმოდგენილი. ვინაიდან ნაშრომი გამიზნულია სახელმძღვანელოდ სტუდენტ-ახალგაზრდობისათვის, მისი აკებულება და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებთან. სახელმძღვანელოს დართული აქვს საინვესტიციო სფეროში ამჟამად არსებული უახლესი ლიტერატურა; ავტორის მიერ შედგენილი საუნივერსიტეტო პროგრამა – სილაბუსი; დასკვნები და წინადადებები ქართულ და ინგლისურ ენებზე; საცნობარო აპარატი, კერძოდ ფინანსურ-საინვესტიციო გამოთვლები, ცხრილები, ფინანსური და საინვესტიციო მენეჯმენტის ძირითადი ალგორითმები შემოთავაზებულია მასალის მიზნებისა და შინაარსის ფორმულირება, აქვე მოცემულია სტუდენტებისათვის ასათვისებელი საკითხების მოკლე ჩამონათვალი. თვითკონტროლის მიზნით შედგენილია კითხვები და დავალებები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას განსაზღვრონ, გაიგეს თუ არა მასალა. ნაშრომში მოცემული ყველა ფორმულის, ცხრილის, დიაგრამის და სქემის მიმართ მითითებულია გამოყენებული წყაროები. ნაშრომის ბოლოს მოცემულია რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. დასკვნების მარკირებული ჩამონათვალი დაეხმარება სტუდენტებს შესასწავლი მასა-

ლის ძირითადი მომენტების გასამეორებლად ან მისთვის სასურველი საკითხების შესარჩევად. ავტორს აქვს უამრავი სპეციალური ლიტერატურის მოძიებული, დაჯგუფებული, საჭირო გვერდების მინიშნება, რაც უდაოდ შეუწყობს ხელს სტუდენტებს მასალის ათვისებაში.

აღნიშნულ ნაშრომში განხილული ყველა საკითხის შესახებ საუბარი არსებითია, მაგრამ მნიშვნელოვანია გამოვეთ ძირითადი დასკვნები და მოსაზრებები, კერძოდ:

- კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესი წარმოადგენს ინვესტიციების ქვეყანათაშორისო მიგრაციის პროცესს მათი უცხოეთში უფრო ეფექტიანად დაბანდების მიზნით, ასევე უცხოეთიდან აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვას ეროვნულ ეკონომიკაში მათი რაოდენობრივი და სტრუქტურული უკმარისობის პირობებში.

- ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მსოფლიო კაპიტალის ბაზრებიდან მნიშვნელოვანი ნაკადების იმპორტიორები 1982-1989 წლების მსოფლიო საავალი კრიზისის დასრულების შემდეგ გახდნენ. ინვესტიციური ნაკადების განსხვავებული სტრუქტურის და მასშტაბების პირობებში კაპიტალის მოდინება ყველა შემთხვევაში ობიექტურად განპირობებულია როგორც ეგზოგენური ისე ენდოგენური ფაქტორებით. პირველ მათგანს მიეკუთვნება გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური სიტუაცია, ასევე გატარებული სტრუქტურული რეფორმები ინვესტიციების იმპორტიორ ქვეყნებში. მეორეს მიეკუთვნება განვითარებულ ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთის ციკლური ცვლილებები, აგრეთვე საბანკო ინსტიტუტების გაზრდილი ინტერესები განვითარებადი ბაზრების მიმართ.

- ინვესტორების, კერძოდ საბანკო ინსტიტუტების გაზრდილი ინტერესი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისადმი იწვევდა ფინანსური ინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებას, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ცალკეულ ქვეყნებსა და მთლიანად გლობალურ ეკონომიკაზე.

- XX საუკუნის ბოლოსათვის კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის სტრუქტურაში მოხდა არსებითი ცვლილებები, კერძოდ, 1981-2000 წლებში დამოკიდებულება სასესხო და სამეწარმეო კაპიტალებს შორის შეიცვალა.

- სამეწარმეო კაპიტალის მოძრაობაში ლიდერის პოზიციას იკავებენ პორტფელური ინვესტიციები. ამ მოვლენის ობიექტური მიზეზები შემდეგია:

- მსოფლიოში ინვესტიციური სიტუაციების

გაუმჯობესება.

- კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან მიმართებაში პოლიტიკის ლიბერალიზაცია.

- კაპიტალის მსოფლიო ბაზარში ტრანს-ფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზრების ძლიერი ინტეგრაცია.

● ინვესტიციების მსოფლიო ბაზრის ძირითადი ცვლილებები, რაც პირველ რიგში მის სტრუქტურაში მიმდინარე ძვრებთანაა დაკავშირებული, განპირობებულია ფინანსური გლობალიზაციით და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ტემპების დაჩქარებით. საერთაშორისო ინვესტირების დომინირებად ფორმად XX ს. 70-იანი წლებში განიხილება პირდაპირი ინვესტიციები, ხოლო XXI ს-ში წინმსწრები განვითარება კპოვა პორტფელურმა ინვესტიციებმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობის გაძლიერება ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ინვესტიციების მსოფლიო ბაზრიდან, ახალი ტექნოლოგიებს, საბანკო კაპიტალის ზრდას და რისკების ხარისხობრივ მართვას. ფინანსური ინსტრუმენტების საერთაშორისო მოძრაობა სულ უფრო მეტად დამოუკიდებელ ხასიათს იძენს და ყალბდება ე.წ. ინვესტიციების სახელშეკრულებო ფორმები: ხელშეკრულებები დაკავშირებული მომსახურებასთან და მართვასთან.

● ინვესტიციები ეკონომიკური პროცესების ფორმირებაში სამართლიანად ასრულებს გადამწყვეტ როლს. ახორციელებს რა მრავალ მონაწილეთა და საქმიანობის სხვადასხვა სახეობათა ინტეგრირებას ეროვნული ეკონომიკის ყველა დონეზე, საინვესტიციო სფერო უშუალო ზემოქმედებას ახდენს საქმიანი აქტივობის დონესა და სამეურნეო საქმიანობის მასშტაბებზე, საბოლოო ჯამში კი განსაზღვრავს მისი დინამიური და დაბალანსებული განვითარების შესაძლებლობას.

● ფინანსურ-საკრედიტო პოლიტიკამ და დაჩქარებულმა საინვესტიციო პრივატიზაციამ ეკონომიკური რეფორმის პირველ წლებში დიდი დარტყმა მიაყენა საინვესტიციო კომპლექსს. შეკუმშა საინვესტიციო ბაზარი, ეკონომიკის რეალურ სექტორს მოუხსო ფინანსური რესურსები და შეამცირა მოთხოვნა თვითონ კაპიტალის განახლებაზე. მიუხედავად დიდი სურვილისა, განახლდეს ეკონომიკური ზრდა, არსებობენ ფაქტორები და ძალები, რომლებიც ხელს უშლიან ეკონომიკურ აღიმავლობას.

ჯერ-ერთი, ძალზე შერყეულია, თუ დანგრეული არა, ეკონომიკური ზრდის მატერიალური ბაზა – მანქანათმშენებლობის, სოფლისმეურნეობის, მეტალურგიული მრეწველობის

დარგები. ამ დარგებში გრძელდება წარმოების დაცემა, და რაც მთავარია, ისინი „მიტოვებულია“ ტექნიკურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით. „გამოთიშულნი“ არიან თანამედროვე ტექნოლოგიებიდან და არ გააჩნიათ რესურსები და წყაროები თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის ნახტომისებური განახლებისათვის. ჯერჯერობით არსებობს მეტალურგიული და მანქანათმშენებელი წარმოების სამამულო პროდუქციაზე შიდა მოთხოვნის არსებითად ზრდის ფაქტორები.

მეორე, სახელმწიფო სექტორიდან წარმოშობილი კორპორაციები და საწარმოები თავიანთ თავს სრულად არ მოიაზრებენ საბაზრო ეკონომიკის საწარმოებად, მათში ძალზე სუსტია ანდა საერთოდ არ ვლინდება კაპიტალის დაგროვების „ინსტიქტები“. ამავე დროს საწარმოს რეფორმის სახელისუფლებო კონცეფცია გამოდის იქედან, რომ „რეფორმირება საწარმომ უნდა განახორციელოს დამოუკიდებლად“.

მესამე, მიუხედავად რეფინანსირების განაკვეთების რამდენადმე შემცირებისა, ეროვნულ ბანკს, კომერციულ ბანკებს ჯერ კიდევ არა აქვთ საჭირო დაინტერესება და არსებითი ოდენობის თავისუფალი სასესხო რესურსები ეკონომიკის რეალური სექტორის კაპიტალში საინვესტიციო დაბანდებისათვის, კომერციულ ბანკებთან მიმართებაში დღემდე ტარდება საბანკო პროცენტის განაკვეთის „დადებითი“ პოლიტიკა, რაც მათ აყენებს პრივილეგიურ მდგომარეობაში, აზღვევს ინფლაციისაგან მაშინ, როცა ეკონომიკის სხვა სექტორების კაპიტალი უფასურდება.

მეოთხე, საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა „რეალური ბიუჯეტის“ კონცეფციას, ალტერნატიული ხასიათის მატარებელია, ემყარება საინვესტიციო ხარჯების შეკუმშვას და საინვესტიციო მოთხოვნის შეზღუდვას მათ შორის სახელმწიფო შეკვეთების და შესყიდვების ხაზით, თავდაცვითი საჭიროების ხაზით.

● ინვესტიცია ესაა როგორც ფულადი, ისე რეალური და ინტელექტუალური კაპიტალის დაბანდება. ისინი ხორციელდებიან ფულადი საშუალებების, კრედიტების, ფასიანი ქაღალდების სახით, აგრეთვე დაბანდებები მოძრავ და უძრავ ქონებაში, ინტელექტუალურ საკუთრებაში, ქონებრივ უფლებასა და სხვა ფასეულობებში.

ინვესტიციები ფულადი ან სხვა სახსრების აწმყოში გახარჯვაა – მომავალში სარგებლობის მიღების იმედით. მაგალითად, ინდივიდუუმებს შეუძლიათ შეიძინონ აქციები, რომლებიც მათ მფლობელებს იმ დროსაც აუნაზღაურდე-

ბათ, რა დროის განმავლობაშიც ფული „გაიყინა“ აქციებსა და საინვესტიციო რისკებშიც. დრო, რომელსაც თქვენ ამჟამად ხარჯავთ საინვესტიციო ნაშრომის კითხვაზე – ასევე ინვესტიციაა. თქვენ ამჟამად უარს ამბობთ თქვენს თავისუფალ დროზე და რაიმე სახის სამუშაოს შესრულებაში შესაძლო მისაღებ შემოსავალზე იმ იმედით, რომ თქვენი მომავალი საქმიანობა საკმარისად მომგებიანი იქნება და თქვენს დახარჯულ დროსა და ძალებს აანაზღაურებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სახის ინვესტიცია დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, – მათ ყველა ინვესტიციისათვის დამახასიათებელი ერთი საერთო თვისება აქვს: აწმყოში ხდება რაღაც ღირებულების გაღება, დათმობა გარკვეული ვადით, რათა მოგვიანებით მიღებულ იქნეს მოგება.

● ინვესტიციის ცნების განმარტებისადმი ზემომოყვანილი მიდგომების განზოგადებით ნაშრომში გამოყოფილია ინვესტიციების შემდეგი ყველაზე უფრო არსებითი ნიშან-თვისებები:

- შემოსავლის მოტანის პოტენციური უნარი;

ინვესტირების პროცესი, როგორც წესი, უკავშირდება დაგროვილი კაპიტალის ერთი ნაწილის გარდასახვას ეკონომიკური სუბიექტის ალტერნატიული სახის აქტივებად;

- ინვესტიციების განხორციელების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი ინვესტიციური რესურსები, რომლებსაც ახასიათებთ მოთხოვნა-მიწოდება და ფასი;

- რომელიმე მატერიალურ ან არამატერიალურ ობიექტში (ინსტრუმენტში) კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართული ხასიათი;

- დაბანდების ვადის არსებობა (ეს ვადა ყოველთვის ინდივიდუალურია და მისი წინასწარ განსაზღვრა მართებული არაა);

- დაბანდებებს ახორციელებენ ინვესტორებად წოდებული პირები, რომელთა ინდივიდუალური მიზნები ყოველთვის არ უკავშირდება უშუალო ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

- კაპიტალის დაბანდების რისკის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტირების მიზნების მიღწევას ალბათური ხასიათი აქვს.

- ნაშრომში ჩამოყალიბებულია ინვესტიციის ცნების განმარტების ფორმულირება: „ჩვენ ინვესტიციებს ვუწოდებთ ყველა ფორმის კაპიტალის მიზანმიმართულად და გარკვეული ვადით დაბანდებას სხვადასხვა ობიექტებში (ინსტრუმენტებში), ინვესტირების ინდივიდუალური მიზნების მისაღწევად“.

- ინვესტიციების ზემომოყვანილი ავტორი-

სეული განმარტებები იმას მოწმობენ, რომ მათი მოცულობები უამრავი რაოდენობის მრავალფეროვან ფაქტორზეა დამოკიდებული. ნაშრომში მოტანილია მათგან ყველაზე ძირითადები:

- ინვესტიციების მოცულობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მიღებული შემოსავლის განაწილებაზე მოხმარებისა და დაზოგვისათვის. დაბალი საშუალო სულადობრივი შემოსავლების პირობებში მათი ძირითადი ნაწილი მოხმარებაზე იხარჯება. შემოსავლების ზრდა ადიდებს დანაზოგებზე მიმართული წილის ოდენობას, რომლებიც საინვესტიციო რესურსების წყაროა. მაშასადამე, დანაზოგების ხვედრითი წილის ზრდა იწვევს ინვესტიციების მოცულობის შესაბამის ზრდას და პირიქით.

- ინვესტიციების მოცულობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა. ეს იმას უკავშირდება, რომ მოგება ინვესტიციების ძირითადი წამახალისებელი მოტივია. რაც უფრო მაღალია წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა, შესაბამისად, მით უფრო მეტი იქნება ინვესტიციების მოცულობა და პირიქით.

- ინვესტიციების მოცულობაზე არსებითად მოქმედებს ასევე სასესხო პროცენტის განაკვეთი. საქმე ისაა, რომ ინვესტირების პროცესში იყენებენ არამართო საკუთარ, არამედ ნასესხებ კაპიტალსაც. თუკი წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა აღემატება სასესხო პროცენტის განაკვეთს, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში ინვესტირება ეფექტიანი ხდება. ამიტომ, სესხის პროცენტის განაკვეთის ზრდა იწვევს ინვესტიციების მოცულობის შემცირებას და პირიქით.

- ინვესტიციების მოცულობაზე არსებითად მოქმედ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, ინფლაციის სავარაუდო ტემპი. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო მეტად უფასურდება ინვესტიციებიდან მიღებული მომავალი მოგება და, შესაბამისად, ნაკლებია ინვესტიციების მოცულობის მატების სტიმულები (ეს ფაქტორი განსაკუთრებულ როლს თამაშობს გრძელვადიანი ინვესტირების პროცესში).

- სახელმძღვანელოს ბოლოს ავტორს ჩამოყალიბებული აქვს საინვესტიციო მენეჯმენტის პრინციპები, მეთოდები და ამოცანები.

- საინვესტიციო მენეჯმენტი იმ მმართველურ გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და რეალიზაციის პრინციპებისა და მეთოდების სისტემაა, რომლებიც საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის განხორციელებას უკავშირდება. საინვესტიციო მენეჯმენტი ორ-

განუღად შედის საწარმოს მართვის საერთო სისტემაში და მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციური ნაწილია. იგი უპირატესად სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელებას უზრუნველყოფს. საინვესტიციო მენეჯმენტი მჭიდრო კავშირშია საწარმოს მართვის ისეთ ძირითად ფუნქციურ სისტემებთან, როგორიცაა ოპერაციული მენეჯმენტი, საფინანსო მენეჯმენტი, საინოვაციო მენეჯმენტი და სხვა. ოპერაციული მენეჯმენტის სისტემასთან ეს კავშირი განპირობებულია არასაბრუნავი ოპერაციული აქტივების ფორმირებისა და კვლავწარმოების ერთობლივი მართვით; საინვესტიციო მენეჯმენტის სისტემასთან – საკუთარი და ნასესხები წყაროების ხარჯზე საინვესტიციო რესურსების ფორმირების მართვით; საინოვაციო მენეჯმენტის სისტემასთან – ავტონომიური ინვესტიციების განვითარების მართვით (ინოვაციური ხასიათის მქონე მატერიალური და არამატერიალური აქტივების განვითარების მართვით).

საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანად მართვას, ავტორის აზრით, უზრუნველყოფს მთელი რიგი პრინციპები, რომელთა შორის ყველაზე ძირითადია: 1. საწარმოს მართვის საერთო სისტემასთან ინტეგრირება 2. მმართველურ გადაწყვეტილებათა ფორმირების კომპლექსური ხასიათი. 3. მართვის ფართო დინამიზმი. 4. ცალკეული მმართველური გადაწყვეტილებების შემუშავებისადმი მიდგომების ვარიაციულობა. 5. ორიენტაციის აღება საწარმოს განვითარების სტრატეგიულ მიზნებზე.

თავისი მთავარი ამოცანის რეალიზაციის პროცესში საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის მართვა შემდეგი მთავარი ამოცანების გადაჭრას ემსახურება:

საწარმოების მესაკუთრეების კეთილდღეობის მაქსიმიზაციის უზრუნველყოფა მიმდინარე და პერსპექტიულ პერიოდში; საწარმოს ოპერაციული საქმიანობის განვითარების მაღალი ტემპების საკმარისი საინვესტიციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა; საწარმოს ცალკეული, რეალური და ფინანსური ინვესტიციებით და მთლიანად მისი საინვესტიციო საქმიანობის მაქსიმალური შემოსავლიანობის (მომგებიანობის) უზრუნველყოფა საინვესტიციო რისკის გათვალისწინებული დონის დროს; საწარმოს რეალური და ფინანსური ინვესტიციების და მთლიანად საინვესტიციო საქმიანობის საინვესტიციო რისკის მინიმიზაციის უზრუნველყოფა მათი შემოსავლიანობის (მომგებიანობის) გათვალისწინებული დონის დროს; კაპიტალის სწრაფად რეინვესტირების შესაძლებლობებისა და ინვესტიციების ოპტიმალური ლიკვიდურობის უზრუნველყოფა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების შიდა და გარე პირობების ცვლილების დროს; საინვესტიციო რესურსების საკმარისი მოცულობის ფორმირებისა და მათი ოპტიმალური სტრუქტურის უზრუნველყოფა საინვესტიციო საქმიანობის საპროგნოზო მოცულობების შესაბამისად; საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში საწარმოს ფინანსური წონასწორობის უზრუნველყოფა; საწარმოს მოქმედი საინვესტიციო პროგრამის განხორციელების დაჩქარების გზების ძიება. ისევე, როგორც მართვის ყოველი სისტემა, საინვესტიციო მენეჯმენტიც გულისხმობს მართვის გარკვეული ობიექტის არსებობას. ესაა საწარმოს ინვესტიციები და მისი საინვესტიციო საქმიანობა. საინვესტიციო რესურსების ფორმირების თავისებურებები, საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებები და ფორმები და მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა საწარმოში. ამიტომ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების თავისებურებათა პოზიციებიდან აუცილებელი ხდება საწარმოების როგორც საინვესტიციო მენეჯმენტის ობიექტების კლასიფიცირება ცალკეული საკლასიფიკაციო ნიშან-თვისებების მიხედვით.

1) საკუთრების ფორმების მიხედვით; 2) საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით; დარგობრივი ნიშნის მიხედვით; 3) საკუთარი კაპიტალის მოცულობის ზომის მიხედვით; 4) ბაზარზე მონოპოლური მდგომარეობის მიხედვით; 5) სასიცოცხლო ციკლის სტადიების მიხედვით, კერძოდ:

საინვესტიციო მენეჯმენტის, როგორც მმართველი სისტემის ფუნქციების ჯგუფში ძირითადია შემდეგი: 1) საწარმოს საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავება. 2) საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ყველა ასპექტის მიხედვით მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა. 3) საინვესტიციო გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების დასაბუთების უზრუნველყოფი ეფექტიანი საინფორმაციო სისტემების ფორმირება. 4) საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის ანალიზის განხორციელება. 5) საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვის განხორციელება, მისი ძირითადი მიმართულებების მიხედვით. 6) საინვესტიციო საქმიანობის სფეროში მიღებული მმართველურ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის სტიმულირების ქმედითი სისტემის შემუშავება. 7) საინვესტიციო საქმიანობის სფეროში მიღებულ მმართველურ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის

ეფექტიანი კონტროლის განხორციელება.

საინვესტიციო მენეჯმენტის როგორც საწარმოს მართვის სპეციალური სფეროს ფუნქციების ჯგუფში ავტორი გამოყოფს ძირითად მიმართულებებს: 1. რეალური ინვესტიციების მართვას, 2. ფინანსური ინვესტიციების მართვას, 3. ინტელექტუალური ინვესტიციების მართვას, 4. საინვესტიციო რესურსების ფორმირების მართვას, 5. საინვესტიციო საქმიანობით განპირობებული ფულადი ნაკადების მართვას.

ავტორი მიუთითებს, რომ საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს საწარმოს საერთო ფინანსური სტრატეგიის ნაწილს, მისი რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური ინვესტიციების უფრო ეფექტიანი ფორმების შერჩევასა და განხორციელებაში, მისი მაღალი ტემპებით განვითარებისა და საბაზრო ღირებულების მუდმივად ზრდის მიზნით: 1) საწარმოს ინვესტიციური საქმიანობის ანალიზს გასულ პერიოდში; 2) საგარეო საინვესტიციო გარემოს და ინვესტიციის ბაზრის კონიუნქტურის კვლევას და პირობების აღრიცხვას; 3) საწარმოს განვითარების სტრატეგიული მიზნების აღრიცხვას, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალ ინვესტიციურ საქმიანობას; 4) საწარმოს ინვესტიციური რესურსების ფორმირების პოლიტიკის შერჩევას; 5) საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის ტიპის დასაბუთება კაპიტალის დაბანდების მიზნებისა და რისკის შერჩევის გათვალისწინებით; 6) საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას ინვესტიციების ძირითადი მიმართულებების მიხედვით; 7) საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას დარგობრივ ჭრილში; 8) საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას რეგიონულ ჭრილში; 9) საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ურთიერთგანპირობებულობას.

აღნიშნული სახელმძღვანელო მეტად მნიშ-

ვნელოვანი შენაძენია ინვესტიციების კვლევით დაინტერესებული სტუდენტის, მაგისტრანტის, დოქტორანტის, პროფესორ-მასწავლებლის თუ ბიზნესმენისთვის. დაბოლოს ამ სტატიის ავტორები იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოში საინვესტიციო სექტორის ღრმა მეცნიერული პირველი მკვლევარი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი ფინანსისტის – აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ღირსეული მოწაფე – ქალბატონი ლამარა ქოქიაური კვლავ არაერთგზით გაახარებს, მის ფართო მკითხველს ახალი საინტერესო, ყოვლისმომცველი და სიღრმისეული კვლევებითა და შედეგებით.

ავთანდილ სილაბაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ბედევან ხელიაია
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვახტანგ დათაშვილი
სტუ-ის პროფესორი, ჟურნალ „სოციალური
ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი

ბენადი იაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი, სტუ-ის საჯარო
მმართველობისა და ელექტრონული
ბიზნესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

პარმენ ლემონჯავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სტუ-ის პროფესორი